

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში
დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია „საჯარო სამსახურის შესახებ“ მოქმედი საქართველოს კანონში სამსახურის სტაჟის გამოთვლის წესის არასრულყოფილება და ცალკეულ შემთხვევაში არასამართლიანი მიდგომა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია კანონით უზრუნველყოფილი იქნეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდის სამსახურის სტაჟში ჩათვლა,თუ სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდა საშუალო განათლების დაწესებულების დამთავრების წელს. ამ დამატებით კანონში სტაჟის გამოთვლა იქნება გაცილებით სამართლიანი, ვინაიდან შეუძლებელია უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვამდე საშუალო განათლების დაწესებულების დამთავრების წელსვე რეალურად მოასწროს შრომითი ურთიერთობების დაწყება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონის 121-ე მუხლს ემატება „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდი სამსახურის სტაჟში ჩათვლება,თუ სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდა საშუალო განათლების დაწესებულების დამთავრების წელს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონის მიღება გამოიწვევს უმნიშვნელო ხარჯებს, ვინაიდან რეალურად ის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ პარლამენტის ყოფილ წევრებზე, რომლებიც არ მუშაობენ საჯარო დაწესებულებებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი უმნიშვნელოდ ზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტი უმნიშვნელოდ დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სამუშაო სტაჟის გამოთვლის წესი დადებითად აისახება იმ პირებზე, რომელთა საკითხსაც წყვეტს ეს კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;
საქართველოს პარლამენტის წევრი გურამ ჩახვაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.
საქართველოს პარლამენტის წევრი გურამ ჩახვაძე.